ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 489

“ 24 ” ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ. 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1647.1842 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. №19-ში მდებარე 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ინასარიძისთვის (პ/ნ. 59001103888) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე